



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ამერიკისმცოდნეობა (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ავილირებული პროფესორი თამარ შიოშვილი, ფილოლოგიის დოქტორი ტელ: 2595005/06; 2595008; მობ: 593 50 41 06 ელექტრონული ფოსტა: tshioshvili@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი / Bachelor of American Studies
დაშვების წინაპირობები	ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა, გახსნილი 2002 წელს ამერიკის საელჩოსთან თანამშრომლობის შედეგად პირველად საქართველოში შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ერთადერთი ინგლისურენოვანი პროგრამა აძლევს მანსს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს მიიღონ უმაღლესი კლასის დასავლური ტიპის მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული განათლება ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ საქართველოს მოთხოვნების გათვალისწინებით; პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ამერიკული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე რაკურსში. მულტიდისციპლინარული და ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით, ამ სფეროს უნიკალური სპეციფიკით და ინტერაქტიული მეთოდების მეშვეობით პროგრამა ჩამოუყალიბებს

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>სტუდენტებს ანალიტიკური აზროვნების ჩვევებს სხვადასხვა კონცეპტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც მთელი მსოფლიოს და რა თქმა უნდა საქართველოს აინტერესებს ზესახელმწიფოსთან მიმართებაში. პროგრამა მოელის ამერიკისმცოდნეობის ქართველი და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი სტუდენტებისაგან, შეძლონ ამერიკისა და საკუთარი კულტურის სხვადასხვა ასპექტების შედარება ისეთი ინტერდისციპლინარული კურსების მეშვეობით როგორცაა: ამერიკის მულტიკულტურული სწავლება, ამერიკელ ქალთა საკითხების შესწავლა, ამერიკის კულტურა და საზოგადოება. პროგრამა მიზნად ისახავს განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები იფიქროს, წეროს და ისაუბროს ეფექტურად და კრეატიულად; განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა; ანალიტიკური აზროვნების, კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების უნარები, პასუხისმგებლობა და თვითგანათლების უნარი; შეუქმნას სტუდენტს ყველა პირობა აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისები, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, კულტურის დეპარტამენტები, ბანკები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, მუზეუმები, არქივი და ა.შ. გარდა ამისა, ბაკალავრის ხარისხის პროგრამა წარმოადგენს სოლიდურ საფუძველს შემდგომი სამეცნიერო-სასწავლო მოღვაწეობისათვის სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე.</p>		
<p>სწავლის შედეგები</p>	<table border="1"> <tr> <td data-bbox="474 1473 746 1951"> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> </td> <td data-bbox="746 1473 1477 1951"> <p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის მაღალი დონის ცოდნა; • ამერიკის კულტურის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიის ფართო ცოდნა; • ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი სეგმენტების, როგორებიცაა: ემიგრაცია, რელიგია, ურბანიზაცია, მედია, ამერიკის მთავრობა, ეკონომიკა, სატრანსპორტო სისტემისა და გარემოს დაცვის საკითხების ცოდნა; </td> </tr> </table>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის მაღალი დონის ცოდნა; • ამერიკის კულტურის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიის ფართო ცოდნა; • ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი სეგმენტების, როგორებიცაა: ემიგრაცია, რელიგია, ურბანიზაცია, მედია, ამერიკის მთავრობა, ეკონომიკა, სატრანსპორტო სისტემისა და გარემოს დაცვის საკითხების ცოდნა;
<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს ექნება:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინგლისური ენის მაღალი დონის ცოდნა; • ამერიკის კულტურის, ლიტერატურის, გეოგრაფიისა და ისტორიის ფართო ცოდნა; • ამერიკის შეერთებული შტატების უმნიშვნელოვანესი სეგმენტების, როგორებიცაა: ემიგრაცია, რელიგია, ურბანიზაცია, მედია, ამერიკის მთავრობა, ეკონომიკა, სატრანსპორტო სისტემისა და გარემოს დაცვის საკითხების ცოდნა; 		

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<ul style="list-style-type: none"> • ამერიკის შეერთებული შტატების განვითარებული დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ტოლერანტობის (საზოგადოების იმ წევრთა მიმართ, რომლებიც განსხვავებული პოლოტიკური, რელიგიური და ეკონომიკური იდეების მატარებლები არიან) ცოდნა; • ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მულტიკულტურული საზოგადოების ფართო ცოდნა (სადაც საპირისპირო შეხედულებების მქონე მოქალაქეებს აერთიანებს ფუნდამენტალური სამოქალაქო ღირებულებები); • დასავლური ღირებულებების ცოდნა. კურსდამთავრებული აცნობიერებს დემოკრატიული ამერიკის შეერთებული შტატების როლს ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების ფორმირებაში. <p>თარგმანცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • თარგმანის საფუძვლების პრინციპების თეორიული ცოდნა, რაც აუცილებელია პრაქტიკული თარგმანის მაღალ დონეზე განხორციელებისათვის; • ლინგვისტიკის დარგის - ლექსიკოლოგიის საფუძვლიანი თეორიული ცოდნა, შეისწავლის რა ინგლისური ენის ლექსიკონის სემანტიკურ თავისებურებებს, ეს დისციპლინა თარგმანს ეხმარება პოლისემანტური სიტყვის, სინონიმის, ანტონიმის, თუ ომონიმის სწორად შერჩევაში თარგმნის პროცესში; • ლინგვისტიკის დარგის - სტილისტიკის მეშვეობით მხატვრული, სამეცნიერო,
--	--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>პუბლიცისტური და სხვ. სტილის თეორიული ცოდნა, რაც აუცილებელია თარჯიმანისთვის თარგმანისას სემანტიკურ-სტილისტური ეკვივალენტურობის დადგენის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის, ეკონომიკის, პოლიტიკური და სხვა ტერმინების ცოდნა; • სტუდენტს ესმის თარგმანმცოდნეობაში გამოყენებული მთავარი ცნებები და ტერმინები; იცნობს თარგმანის თეორიის ძირითად პრინციპებს, მოკლე ისტორიას, მის პრაგმატიკულ, სემანტიკურ და სტილისტიკურ ასპექტებს, თარგმანის პროცესის მოდელირების, ტექსტის მთარგმნელობით ანალიზი მეთოდებს, თარგმანის ძირითად სტრატეგიებსა და მათი ადექვატურად გამოყენების ხერხებს. აცნობიერებს თარგმანის, როგორც ენათშორისი და ინტერკულტურული კომუნიკაციის არსს. <p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ორგანიზაციული ოპერატიულ-სტრატეგიული განვითარება/დაგეგმარების ცალკეული სფეროების თეორიების და პრინციპების ცოდნა; • ეფექტური პრეზენტაციის შექმნის უახლესი მეთოდებისა და ინსტრუმენტების ცოდნა; • პრეზენტაციის ეფექტურად წარდგენის მეთოდებისა და ინსტრუმენტების ცოდნა; • „სხეულის ენის“ საწყისების ცოდნა; • დიზაინის საწყისების და სლაიდის არქიტექტურის ცოდნა;
--	--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<ul style="list-style-type: none"> საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის მენეჯმენტის მთავარი ცნებები და ასპექტები.
	<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს ექნება უნარი:</p> <ul style="list-style-type: none"> წაიკითხოს და გაიგოს რთული ინტერდისციპლინარული ტექსტები ინგლისურად; გამოიტანოს ქვეტექსტები და ავტორის ჩანაფიქრი; მოუსმინოს ამერიკელის საუბარს და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება, მიუხედავად სხვადასხვა საუბრის ტემპისა, ინტონაციისა თუ თემატიკის; სწორად მოახდინოს რეაგირება გაგონილ იმპულსზე და შეასრულოს რთული დავალებები; მოისმინოს აუდიო მასალა, როგორც ყოფით თემებზე, ასევე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ საკითხებზე. ორთოგრაფიულად და აზრობრივად სწორად დაწეროს თხზულება, ესსე; შესძლოს საკუთარი აზრის წერილობით მკაფიოდ გამოხატვა, დარგობრივი და მაღალი ლიტერატურული სტილის ლექსიკით (სინონიმები, ანტონიმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები) აღჭურვილი თხზულების/ესსეს შედგენა; მოამზადოს ანალიტიკური საკონფერენციო მოხსენებები ამერიკის კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ამერიკელი ქალების ისტორიის საკითხებზე ამერიკისმცოდნეობაში. <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> წერითი და ზეპირი თარგმანისას ტექსტი დაყოს აზრობრივ ერთეულებად; ან გააკეთოს გენერალიზაცია;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<ul style="list-style-type: none"> • სწორად გადმოსცეს სიტყვის, ფრაზის, წინადადების, აზრის ინფორმაცია; • დაიცვას თარგმანის სტილისტური შესაბამისობა ორიგინალთან; • თარგმნისას დაასრულოს წინადადება; • სწორად გადმოიტანოს საკუთარი სახელები და გეოგრაფიული დასახელებები; • სწორად გადმოიტანოს თარიღები, ციფრები, რიცხვები, ან პროცენტული მონაცემები; • სწორად იმეტყველოს, დეფექტების გარეშე (ზეპირი თარგმანის დროს); • სწორად გამოთქვას ლექსიკური ერთეული (ზეპირი თარგმანისას); • გრამატიკულად სწორად ააგოს წინადადება; • სწორად ჩასვას ტერმინი კონტექსტში. • თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატული ასპექტით გამოყენება, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო, საგაზეთო პუბლიცისტური სარეკლამო ტექსტების, მხატვრული პროზისა და ლიტერატურის თარგმნა; შეუძლია თარგმანის შეფასების კრიტერიუმების გამოყენება, რედაქტირება და თვითრედაქტირება, რეფერირება და ანოტირება; შეუძლია მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში სხვადასხვა სფეროს უცხოენოვანი ავთენტური და არავთენტური ტექსტების გაგება-ანალიზი-თარგმნა; ახალი ტექსტის შედგენა-სინთეზი; შეუძლია ახალი ენობრივი ერთეულების, სინტაქსური კონსტრუქციებისა და სამეტყველო მოდელების ანალიზი (შედარება, განზოგადება) და მათი გააზრებული გამოყენება და თარგმნა რეალურ სამეტყველო პროცესში.
--	--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; • პრეზენტაციის მომზადების უნარი; • საკუთარი საქციელის მართვის უნარი პრეზენტაციის მომზადებისას უცხოელი აუდიტორიის წინაშე წარდგენისას მაქსიმალური წარმატების მიღწევის მიზნით.
	<p>დასკვნის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ამერიკისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება; • გაავლოს პარალელები მშობლიურ და უცხო კულტურებს შორის, იპოვოს განსხვავებები და მსგავსებები (ქვეყნის ადმინისტრაციული წყობა, ცხოვრების წესი, ისტორიული ეპოქის თავისებურებები და სხვ.) და გააკეთოს სათანადო დასკვნები; • დააფიქსიროს საკუთარი დამოკიდებულება, გამოიყენოს მიღებული ამერიკისმცოდნეობის მულტიდისციპლინარული თეორიული ცოდნა ანალიზისათვის; • მოვლენების ადეკვატური შეფასება, შედარება, კრიტიკა და ანალიზი. <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ანალიტიკური და რიტორიკული უნარების გამოყენებით მოახდინოს ორიგინალური ტექსტის აზრობრივი ერთეულების გენერალიზაცია;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>მოახდინოს ძირითადი და მეორეხარისხოვანი აზრების კომბინაცია, სრულყოფილი თარგმანის შესრულების მიზნით, რათა არ დაირღვას კონტექსტი.</p> <p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • შეუძლია განსაზღვრული მონაცემების შეგროვება და განმარტება; მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი; • გზავნილის ეფექტურობის გაზომვის უნარი; • საკუთარი დასკვნების, პოზიციის, არგუმენტების უნარი; • აუდიტორიის საქციელის შეფასების უნარი.
	<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებული სრულფასოვნად აწარმოებს როგორც წერით, ასევე ვერბალურ კომუნიკაციას ნებისმიერ ფორმატში ამერიკისმცოდნეობის საგნების ნებისმიერი თემატიკის ირგვლივ.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • სხვა კულტურის წარმომადგენელს გაუზიაროს საკუთარი მოსაზრებები და აზრები და დაამყაროს კომუნიკაცია; • წარმართოს დიალოგი ამერიკის განსხვავებული კულტურების თავისებურებების ირგვლივ; • მიიღოს მონაწილეობა დებატებში და დისკუსიაში.



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • თავისუფლად გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT) პრეზენტაციისას; • ელექტრონული ფოსტით საქმიანი მიმოწერა, დოკუმენტების ელექტრონული ფოსტით გაგზავნა-მიღება. • კულტურათა დიალოგში თავისუფლად ჩართვა, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, შეფასებების გამოთქმა. <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • სიტყვის, ფრაზის, წინადადების, აზრის სწორი თარგმანის მეშვეობით გადმოსცეს სწორი ინფორმაცია; • შეფერხების გარეშე წარმართოს თარგმანი, რათა არ შეწყდეს აზრის განვითარება თარგმანის პროცესში; • დაასრულოს ყოველი ნათარგმნი წინადადება, რითაც აიცილებს აზრის გაწყვეტის საშიშროებას; • დახვეწოს თარგმანი სტილისტურად ორიგინალთან შესაბამისობის დაცვით. • სტუდენტი შეძლებს სინქრონული თარგმანის შესრულებისას მოახდინოს აზრებისა და იდეების ეფექტურად კომუნიკაცია. <p>კურსდამთავრებული განავითარებს შემდეგ საკომუნიკაციო უნარებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერბალური საკომუნიკაციო კომპეტენცია, რაც მას საშუალებას მისცემს აწარმოოს კომუნიკაცია ინგლისურად და ქართულად სხვადასხვა მთარგმნელობითი ამოცანების შესრულებისას; • არავერბალური კომუნიკაცია (შესაბამისი ჟესტები, სხეულის ენა და თვალისმიერი
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>კონტაქტი; თვალსაჩინოებების გამოყენების უნარი კომუნიკაციისათვის);</p> <ul style="list-style-type: none"> პრეზენტაციების მომზადება; შეხვედრებში, დისკუსიებსა და ბრიფინგებში მონაწილეობის მიღება. <p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> სპეციფიური, უცხო აუდიტორიების წინაშე პრეზენტაციის ეფექტურად წარმართვის უნარი; ეფექტური კომუნიკაციის უნარების წარმართვა სხვადასხვა აუდიტორიების წინაშე; ეფექტური წერიტი და ვერბალური უნარების გამოიყენება ინგლისურ ენაზე: დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. დახვეწოს თარგმანი სტილისტურად ორიგინალთან შესაბამისობის დაცვით.
	<p>სწავლის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი მულტიდისციპლინარული და ამავე დროს ინტერდისციპლინარული სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად დაგეგმვა; შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა, კერძოდ, გააზრებული აქვს სწავლისა და განვითარების მიმართულებით მუდმივად გაღრმავების აუცილებლობა; დამოუკიდებლად მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელება;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<ul style="list-style-type: none"> • სწორი მიმართულებებით განსაზღვროს სწავლის პრიორიტეტები. <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> • მთარგმნელ-თარჯიმნის პროფესიის დასაუფლებლად დადგენილი შედარებით იოლიდან რთულისკენ გარდამავალი ეტაპების თანმიმდევრულად გავლა, რაც გულისხმობს: პირველ ეტაპზე ინგლისურიდან ქართულად წერითი თარგმანის უნარების დაუფლებას, შემდგომ ქართულიდან ინგლისურად თარგმნა, ამის შემდეგ ზეპირი თარგმნა და ბოლო ყველაზე რთული ეტაპი - სინქრონული თარგმანია <p>სტუდენტი შეძლებს ისწავლოს ავტონომიურად და განავითარებს შემდეგ უნარებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სინქრონულ თარგმანთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება ინტერნეტით და ბიბლიოთეკებში; • თვით და ურთიერთ-შეფასება; • თანამშრომლობა ჯგუფებში და წყვილებში მუშაობის დროს. <p>სტუდენტს გააზრებული აქვს სწავლისა და განვითარების მიმართულებით ცოდნის მუდმივად გაღრმავების აუცილებლობა, როგორც პროფესიაში წარმატების პირობა. სტუდენტმა იცის, რომ მხოლოდ ბევრი შრომით და საკუთარ თავზე მუშაობით შეუძლია იყოს კარგი მთარგმნელი და ამისათვის ის გამოყოფს პრიორიტეტებს, გეგმავს და ანაწილებს სამუშაოს და მიისწრაფვის დასახული მიზნებისაკენ.</p>
--	--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		<p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.
	<p>ღირებულებები</p>	<p>სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად, რაც გამოიხატება შემდეგში:</p> <ul style="list-style-type: none"> სტუდენტს გამომუშავებული აქვს პატივისცემის გრძნობა ამერიკული და ამავდროულად სხვადასხვა ქვეყნის კულტურების, ტრადიციების, კანონების და წეს-ჩვეულებების მიმართ; ტოლერანტულია კულტურული და ინდივიდუალური განსხვავებების მიმართ; იზიარებს ჰუმანიზმის და ლიბერალიზმის პრინციპებს. <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p> <ul style="list-style-type: none"> მთარგმნელ-თარჯიმნის პროფესიის დაუფლებისას სტუდენტს გამომუშავებული აქვს პატივისცემის გრძნობა ქართულ და სხვა კულტურების, ტრადიციების, კანონების და წეს-ჩვეულებების მიმართ, რასაც შემდგომში დაგვარად ამჟღავნებს თარგმნისას ქართველსა, თუ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებთან მიმართებაში. <p>საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში:</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ol style="list-style-type: none"> ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს ამერიკის ექსპერტად საჯარო სამსახურში: პარლამენტში, საგარეო ურთიერთობების კომიტეტებში, კულტურის კომიტეტებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში (ამერიკის დეპარტამენტი), თავდაცვის სამინისტროში (ნატოს დეპარტამენტი), საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისებში, ისტორიის მუზეუმში, ხელნაწერთა მუზეუმში, არქივში, ამერიკის საელჩოში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.</p> <p>თარგმანმცოდნეობის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში: აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მზარდი კონკურენციის ფარგლებში პროგრამის მსვლელობისას მიღებული უნარ-ჩვევების, კომპეტენტურობის და ცოდნის საფუძველზე წარმატებით დასაქმებას: სახელმწიფო სტრუქტურები, კერძო კომერციული და არაკომერციულ სტრუქტურებში და სხვა უწყებებში, სადაც მოითხოვება პროფესიონალი მთარგმნელი თარჯიმანი.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge